Sano ჯანსაღი ზრდა

Unipro

Art. Nr. 7926

უნივერსალური კვებითი შემავსებელი მეღორეობაში

შემადგენლობა:

სოიოს ექსტრაქტის შროტი, რაფსის ექსტრაქტის შროტი, კალციუმის კარბობატი, მონოკალციუმფოსფატი, ნატრიუმის ქლორიდი.

ხარისხობრივი მახასიათებლები:

34,5% ნედლი ცილა, 1,9% ნედლი ცხიმი, 7,3% ნედლი უჯრედისი, 18,0% ნედლი ნაცარი, 4,2% ლიზინი, 0,6 % მეთიონინი, 4,0% კალციუმი, 1,4% ფოსფორი, 1,2% ნატრიუმი, 0,4% მაგნიუმი, ტენიანობა 12%-მდე, ME საქონლისთვის 10,25 MJ, NEL 6,0 მგჯ.

შემადგენელი ნივთიერებები/კგ:

კვებითი დანამატები: 25.000 i.E. ვიტამინი A (3a672a), 20.000 i.E. ვიტამინი D3 (E 671), 250 მგ ვიტამინი E / all rac ალფა-ტოკოფეროლაცეტატი (3a700), 25 მგსპილენძი (E 4) როგორც სპილენძის-(II)-სულფატ პენტაჰიდრატი.

Unipro - ს გამოყენების წესი:

ეს უნივერსალური საკვები არის რეკომენდირებული, როგორც მესაქონლეობაში ასევე მეღორეობაში.

სასუქი ღორის შემთხვევა:

Unipro გამოიყენება სასუქ ღორებში 30კგ ცოცხალი წონიდან. საკვებში ერევა **20%-ის** ოდენობით. განვიხილოთ სანიმუშე რეცეპტურა:

სიმინდი - 60 კგ,

ქერი, ხორბალი - 40 კგ

Unipro - 25 კგ

რეკომენდირებული რაციონის შემთხვევაში ღორს 1კგ ცოცხალი წონის მატებისთვის სჭირდება საშუალოდ 3 კგ მზა საკვები. 30-დან 110კგ-მდე ღორი იმატებს 80კგ-ს ცოცხალ წონას, შესაბამისად მას სჭირდება 80 X 3 კგ =240 კგ მზა საკვები 100 დღის განმავლობაში.

<u>დედა ღორის შემთხვევა ლაქტაციის პერიოდში:</u>

Unipro საკვებში ერევა **20%-ის** ოდენობით. განვიხილოთ სანიმუშე რეცეპტურა:

სიმინდი - 60 კგ,

ქერი, ხორბალი - 40 კგ

Unipro - 25 კგ

გოჭების დაყრის შემდგომ დედა ღორი უნდა იკვებებოდეს დიდი რაოდენობით საკვებით და მიეწოდეს უხვად წყალი. მისი კვების რაციონი შემდეგნაირად გამოითვლება: 2კგ მზა საკვები საკუთარი ორგანიზმისთვის და ყოველი 0,5 კგ თითო გოჭზე. თუ დედა ღორი ზრდის 10 გოჭს, მაშინ მას დასჭირდება 2+5=7კგ მზა საკვები.

თუ გოჭები დედასთან 2 თვე რჩებიან, მაშინ ლაქტაციის პერიოდი გაგრძელდება 60 დღე და დედა ღორს სჭირდება 7კგ X 60 = 420კგ მზა საკვები.

<u>დედა ღორის შემთხვევა მაკეობის პერიოდში:</u>

Unipro საკვებში ერევა **12%-ის** ოდენობით. განვიხილოთ სანიმუშე რეცეპტურა:

ქერი, ქატო - 140 კგ,

სიმინდი, ხორბალი - 45 კგ

Unipro - 25 კგ

მაკეობის 1 – 35 დღე მიზანშეწონილია 2,7კგ მზა საკვები ; 2,7 X 35 = 94,5კგ

მაკეობის 35 – 100 დღე მიზანშეწონილია 3,2კგ მზა საკვები ; 3,2 X 65 = 208კგ

მაკეობის 100– 114/116 დღე მიზანშეწონილია 3,5კგ მზა საკვები ; 3,5 X 16 =56კგ

მაკეობის პერიოდში მზა საკვების რაოდენობა შეადგენს 94,5 + 208 +56 = 360 კგ-ს

აქედან საშუალოდ: 12 % Unipro -ა ანუ საშუალოდ 44 კგ

88 % მარცვლეული, საშუალოდ 316კგ